ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6443027

ნომერი: AR1960866

თარიღი : 13.04.2023

გაცემის თარიღი : 03.05.2023

გაცნობის თარიღი : 23.05.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ომარ ხიზანიშვილის ქუჩა, N 160;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი გელაშვილი პ/ნ 01001001698
- თბილისი დიღმის მას. VI კვ. კორ. 19 ბ. 12

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 30 მარტის №6393170 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 13 აპრილს №AR1960866 განცხადებით მომართა გიორგი გელაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2023 წლის 30

მარტის №6393170 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2021 წლის 8 ივლისის №5492814 ბრძანებით შეთანხმდა, ქ. თბილისში, ომარ ხიზანიშვილის ქუჩა №160-ში მდებარე №72.13.27.707 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, პირველადი მოხმარების საქონლის მაღაზიის არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2023 წლის 30 მარტის №6393170 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2023 წლის 30 მარტიდან 2025 წლის 30 მარტის ჩათვლით. აღნიშნულ ბრძანებაში დამკვეთად დაფიქსირდა შპს "მშენებელი 2013" (ს/ნ: 405004622).
განმცხადებლის განმარტების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 30 მარტის №6393170 ბრძანების სატიტულო ინფორმაციაში მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ის ველში მესაკუთრე(ები)ს გრაფაში არასწორად დაფიქსირდა მიწის ნაკვეთის ძველი მესაკუთრე - თამარ გელაშვილი (პ/ნ: 01005031049). შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას და ბრძანების სატიტულო ინფორმაციაში მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ის ველში მესაკუთრე(ები)ს გრაფაში, საპროექტო მიწის ნაკვეთის ახალი მესაკუთრის შპს "მშენებელი 2013"-ის (ს/ნ: 405004622) დაფიქსირებას.
სამსახურის მიერ დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ სამსახურის 2023 წლის 30 მარტის №6393170 ბრძანების გამოცემის დროს არსებული საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაცია: №882023155891; მომზადების თარიღი: 06/03/2023 წ.) თანახმად, №72.13.27.707 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენდა შპს "მშენებელი 2013" (ს/ნ: 405004622), თუმცა ტექნიკური შეცდომის შედეგად, ბრძანების სატიტულო ინფორმაციაში მიწის ნაკვეთ(ებ)ი / ობიექტ(ებ)ის ველში ავტომატურად აისახა რუკაზე მონიშნული საპროექტო მიწის ნაკვეთის ძველი მესაკუთრე - თამარ გელაშვილი (პ/ნ: 01005031049).
აღსანიშნავია, რომ სამსახურის 2023 წლის 30 მარტის №6393170 ბრძანებაში დამკვეთად სწორად დაფიქსირდა საპროექტო მიწის ნაკვეთის ახალი მესაკუთრე შპს "მშენებელი 2013" (ს/ნ: 405004622).
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია გაასწოროს ტექნიკური შეცდომა ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 30 მარტის №6393170 ბრძანებაში და ბრძანების სატიტულო ინფორმაციაში, „მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ის" ველში, მესაკუთრე(ები)ს გრაფაში: თამარ გელაშვილის (პ/ნ: 01005031049) ნაცვლად დაფიქსირდეს შპს "მშენებელი 2013" (ს/ნ: 405004622).".
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 30 მარტის №6393170 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 30 მარტის №6393170 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.